

გურგია



I. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

გურის ტერიტორიის ფართობი 2 030,1 კვ.კმ-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 2,9%-ს შეადგენს.



რეგიონს ესაზღვრება სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი და აჭარა. დასავლეთიდან ესაზღვრება შავი ზღვა.

2. თვითმმართველი ერთეულები

რეგიონის ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულებია: **ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის** მუნიციპალიტეტები. ადმინისტრაციული ცენტრია - ქ. ოზურგეთი. ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის მანძილი 325 კმ-ია. მხარეში 193 დასახლებული პუნქტია. მათ შორის: 2 ქალაქი, 5 დაბა და 186 სოფელი.

II. გუნებრივი რესურსები და ბარემო

1. მინერალურ-რემკრეაციული რესურსი

გურიაში მოიპოვება: აოლინი (ზემო მაკვანეთი), წითელი რკინა, აპატიტი (ვაკო-ჯვარი), ცემენტი (ქვედა ძიმიტი), ოქრა, რკინის ანგი, თიხა (ნაგომარი, წითელძთა), ბენტონიტური თიხა (მთისპირი), ოქრო (ზოტი), ტუფი, გრანიტის ქვა (დიდივანი), ნავთობი (სუფსა), კირქვა (შუხუთი, ჯუნჯუათი), ტორფი (იმნათი, სუფსა, გრიგოლეთი, მალთაყვა).

2. წყლის რესურსი

ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსით. ძირითადი მდინარეებია: სუფსა, ნატანები, ბუჟუი,

ბახვისწყალი, გუბაზოული. გურია მდიდარია ბუნებრივი სამკურნალო წყლებით, სუფთა წყაროს წყლებით, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლებით, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით.

3. ენერგეტიკული რესურსი

გურიაში ფუნქციონირებს ჰიდროელექტრო-სადგური „ბუჟუჰესი“, რომლის გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს 4 მგვტ. (2007 წლის მონაცემი).

4. სატყეო რესურსი

რეგიონის 80 000 ჰა-ზე მეტი დაკავებული აქვს ტყის მასივებს, რაც საერთო ჯამში 15-16 მილიონ კუბ.მეტრ მერქანს შეადგენს. მათ შორის უნიკალური ჯიშებია: წაბლი, თელა, ნეკერჩხალი და სხვა. ძირითადი ჯიშებია წიფელი და ნაძვი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ინფორმაციით 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გურიის ტყის ფონდის ფართობი 101,8 ათას ჰექტარს შეადგენს, რაც საქართველოს ტყის ფონდის 3,4%-ია. გურიის მხარეში ტყით დაფარულია 96,6 ათასი ჰექტარი. ტყიანობა 47,5 პროცენტს შეადგენს.

ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა 2007 წელს 28116 კუბური მეტრია, რაც 23%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მონაცემს, მაგრამ 2005 წელთან შედარებით 50%-ით ნაკლებია. 2007 წლის მონაცემით უკანონოდ მოიჭრა 1515 კუბური მეტრი ტყე.

III. ადამიანური, სოციალური და კულტურული კაპიტალი

1. მოსახლეობა

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონის მოსახლეობა 138,8 ათას ადამიანს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 3,16%-ია. 2007 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 0.14%-ით შემცირდა.

(საქართველოს მოსახლეობის შემცირების თანაბრად).

თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობა (2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით) ყველაზე მეტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის – 77,2 ათასი კაცი, რაც გურიის მთლიანი მოსახლეობის 56%-ია.

2008 წელს გურიაში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 1 708 კაცი იყო, რაც საქართველოში სულ დაბადებულთა რაოდენობის 3%-ს შეადგენს. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 2007 წლის მონაცემებს 23%-ით აღემატება.

რაც შეეხება გარდაცვალებულთა რაოდენობას 2008 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 1 448 კაცი.

2. ბანათლება

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით გურიის მხარეში ფუნქციონირებს ერთი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008/2009 წლებში იყო 30 კაცი, რაც მთლიანად საქართველოში სტუდენტთა რაოდენობის 0,03%-ია.

2009 წლისათვის მხარეში ფუნქციონირებს 99 საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები 2008 წლიდან არ ირიცხება. 2007 წლის მონაცემებით - 45 სკოლამდელი დაწესებულება, დაწყებითი არ ირიცხება, საბაზო ცხრაწლიანი - 30, ხოლო სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - 74.

3. სოციალური უზრუნველყოფა

პენსიონერების რიცხოვნობა გურიაში 2008 წელს იყო 32 541 კაცი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0,3%-ით მეტია, ხოლო მთლიანად საქართველოში პენსიონერთა რაოდენობის 5%-ია.

4. ჯანდაცვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანდაცვის სფეროში ფუნქციონირებს შემდეგი სამედიცინო დაწესებულებები:

- ოზურგეთის კლინიკური საავადმყოფო;
- ოზურგეთის სამშობიარო სახლი;
- ოზურგეთის პოლიკლინიკა;
- ოზურგეთის ტუბდისპანსერი;
- ოზურგეთის ბავშვთა საავადმყოფო;
- სასწრაფო დახმარების სამსახური „03“.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი:

- სს “მიხეილ ჩაჩავას სახელობის ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრი”;
- შპს “ფტიზიარი”;
- შპს “სანში”;
- შპს “ლანჩხუთი 03”;
- შპს “ნეგრონი”;
- შპს “სიცოცხლე”.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი:

- სამშობიარო სახლი;
- შპს საავადმყოფო-კლინიკა;
- სასწრაფო დახმარების სამსახური „03“.

5. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა

მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების და 60-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული და საეკლესიო ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია: სამონასტრო კომპლექსი, ციხეები, ნაქალაქარები, მუზეუმები და სხვა. ესენია: შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი, (შუა საუკუნეები), ბუკის-ციხე, ასკანის ციხე (უძველესი სამშენებლო ფენა IV ს), ჯიხეთის მონასტერი (XIX ს.) უდაბნოს მონასტერი (VI ს.) ლიხაურის ეკლესია (XII ს.), უახლესი XIX ს.) აჭის ეკლესია (XIII-XIV სს.), ერკეთის ეკლესია (IX ს.) ვაშნარის ნაქალაქარი (V-VIII სს.).

ოზურგეთის აღ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი, ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ეკატერინე ნინოშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი, ნოდარ დუმბაძის

მუზეუმი (სოფ. ზენობანი), ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალი.

IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

რეგიონში მობილური ტელეფონებიდან ფუნქციონირებს „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები. მათი მუშაობის ხარისხი დამაკმაყოფილებელია და დაფარვის ზონა არის 70.5%.

ინტერნეტით სარგებლობს 64 ორგანიზაცია.

2. გზები

რეგიონში საავტომობილო და სარკინიგზო გზების სიგრძე 1034 კმ-ია, მათ შორის სარკინიგზო – 76 კმ., საავტომობილო – 958 კმ-ს შეადგენს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი გზა არის 70 კმ, ადგილობრივი მნიშვნელობის – 172 კმ. საუბნო გზები – 200 კმ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთაშორისო მნიშვნელობის გზა არის 65კმ. (ლანჩხუთი-სამტრედია – 32კმ. ლანჩხუთი-ფოთი – 33კმ.). შიდა სახელმწიფოებრივი გზა – 117კმ. (ლანჩხუთი-ჩოხატაური – 45კმ, ლანჩხუთი-აბაშა – 47კმ, ლანჩხუთი-ლესა-ოზურგეთი – 12კმ, შუხუთი-აცანა-მამათი – 12,7კმ.) და სარკინიგზო გზა – 40კმ. (ჯაპანა-ურეკი).

შიდა გზების მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია (ექვემდებარება რეაბილიტაციას).

რეგიონში ფუნქციონირებს შემდეგი სატრანსპორტო ორგანიზაციები:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობას მომსახურებას უწევს სს „ტრანსპორტელი“. ტრანსპორტის ძირითადი სახე მიკრო-ავტობუსებია. მგზავრების რაოდენობა კვირაში 687 კაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვით ორგანიზაცია არ არსებობს. იგი ხორციელდება უშუალოდ წარმოება-ორგანიზაციათა მიერ საკუთარი ან იჯარით აყვანილი ტრანსპორტით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სფეროში არსებული ბაზა:

• სს. “ტრანსერვისი” – აწარმოებს მგზავრთა გადაყვანას მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სოფლის მიმართულებით, ასევე საქალაქთაშორისო მარშრუტებზე.

• შპს “ელტრანსერვისი” აწარმოებს მგზავრთა გადაყვანას ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე.

• შპს “ოზურგეთის ავტოსადგური”.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას ახორციელებს სს „ავტო“.

V. ადგილობრივი ეკონომიკა

გურია სასოფლო-სამეურნეო მხარეა, სადაც ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მოყვანა, რეგიონის წარმოება ოზურგეთის ირგვლივთა თავმოყრილი, რასაც ხელს უწყობს სუფსაში ნავთობის ტერმინალის არსებობა.

მხარის მთლიანი პროდუქტის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 4,0%-ს. (2007 წ.)

მთლიანი რეგიონალური პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2006 წლის გაანგარიშებით შეადგენს 2450 ლარს.



1. რეგისტრირებული სუბიექტები

ეკონომიკური

ბოლო პერიოდში რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2008 წელს რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობამ 6672 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 13%-ით მეტია. აღნიშნული მონაცემი საქართველოში არსებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობის 2,6%-ია.

2009 წლის პირველ კვარტალში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 7203-ით განისაზღვრა, რაც 2008 წლის მონაცემს აღემატება 7,4%-ით.

რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა



რეგიონის ეკონომიკა წარმოდგენილია შემდეგი სექტორებით: მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სამეწარმეო სფერო.

1. დასაქმება

ათასი კაცი

2008 წელი	გურია		საქართველო
	რაოდენობა	წილი %	რაოდენობა
სულ აქტიური მოსახლეობა	79,1	4,1	1917,8
მომუშავე	76,1	4,8	1 601,9
დაქირავებული	10,3	1,8	572,4
თვითდასაქმებული	65,8	6,4	1 028,5
გაურკვეველი	0,1	4,9	1,1
უმუშევარი	3,0	1,0	315,8
უმუშევრობის დონე (%)	3,8		16,5
აქტიურობის დონე (%)	78,1		62,6
დასაქმების დონე (%)	75,1		52,3

2008 წელი		გურია		საქართველო
		რაოდ	%	რაოდენობა
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	1 566	1,8%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	76,0	1,6%	4 637,6
	გამოშვება (მლნ.ლ)	75,6	2,0%	3 821,8
სამეწარმეო სფერო	დასაქმება (კაცი)	4 647	1,3%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	111,5	0,6%	19 650,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	96,2	0,9%	10 248,4
ტრანსპორტი და მასშობა	დასაქმება (კაცი)	292	0,6%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	0,4	0,0%	3 004,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	0,4	0,0%	2 043,6
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	584	1,5%	38 109
	ბრუნვა (მლნ.ლ)	11,4	0,8%	1 412,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	11,4	0,8%	1 434,7
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	655	1,2%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	18,7	0,2%	9 238,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	3,1	0,2%	1 464,7

2. ეკონომიკა

გურიაში შექმნილმა მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 465.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 2.3%-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი ვაჭრობას უკავია, მთლიანი მოცულობის 17%, შემდეგ მოდის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 15%.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი – 186 პროცენტისი ზრდა – ვაჭრობაში დაფიქსირდა.

3. სოფლის მეურნეობა

რეგიონის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა.

გურიაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი შეადგენს 50728 ათ. ჰა. მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით შემდეგია:

- სახნავი – 17155 ჰა
- საძოვარი – 19419 ჰა
- სათიბი – 1066 ჰა
- მრავალწლიანი – 13088 ჰა

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების მდგომარეობა 2007 წლისათვის:

- საპრივატიზებო მიწების საერთო ფართობი – 12.4 ჰა;
- პრივატიზებული მიწები პირდაპირი მიყიდვის ფორმით – 2.1 ჰა;
- პრივატიზებული მიწები აუქციონის წესით – 1.2 ჰა.

მცირემიწიანი (1,25 ჰა ფართობი) გლეხების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით:

- ოზურგეთი – 29100;
- ლანჩხუთი – 15200;
- ჩოხატაური – 7149.

მსხვილი ფერმერული მეურნეობების, ფერმერთა ასოციაციების, კოოპერატივებისა და სხვა გაერთიანებების რაოდენობა:

- ოზურგეთი – 50;
- ჩოხატაური – 2.

სოფლის მეურნეობის მომსახურე აგრო-ცენტრების, სერვის-ცენტრების რაოდენობა და მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვილობის დონე: ოზურგეთი – 1 (ერთი) ერთეული ტექნიკა: „ბელარუსი” – 2 ერთ., გუთანი – 3 ერთ., სათესი – 1 ერთ., კულტივატორი – 1 ერთ., ტრაქტორი – 2 ერთეული.

4. სამშენებლო სექტორი

ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე გურიაში 2007 წელს გაიჭრა 109 ნებართვა. საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი იყო - 21370.74 კვ.კ, მოშენების – 12075 კვ.მ.

რაც შეეხება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე გაცემული ნებართვების რაოდენობას, გურიაში 2007 წელს გაიჭრა 45 ნებართვა.

2008 წლის I-III კვ. გურიაში გაცემული იქნა 27 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართობი იყო – 6129 კვ.მ.

5. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით გურიაში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა იყო 869, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 2.3 პროცენტია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმო – 15
- საშუალო საწარმო - 41
- მცირე საწარმო - 813

- რეგიონში მოქმედი მსხვილი საწარმოებია:
- შპს “გურია ექსპრესი” – ფქვილის წარმოება;
 - შპს “გურია 21” – საცალო ვაჭრობა ძრავას სათბობით;
 - შპს “გზამშენი 18” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
 - შპს “ვასაძის პური” – პურის წარმოება;
 - სს „წყალი მარგებელი” – მინერალური წყლებისა და უაღკოპოლო სასმელების წარმოება.

6. საფინანსო სექტორი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი საბანკო დაწესებულებების ფილიალები: საქართველოს ბანკის 2 ფილიალი, თიბისი ბანკის – 1, ბანკი რესპუბლიკა – 1, ტაო პრივატ ბანკი – 1, ვი-თი-ბი ბანკის – 1, პროკრედიტ ბაიკი – 1.

7. საინფრასტრუქტურული კონსტრუქციები

• ხე-ტყის მრეწველობა – რეგიონში ვხვდებით უნიკალურ ჯიშებს: წაბლი, თელა, ნეკერჩხალი, წიფელი და ნაძვი. რეგიონში ამჟამად ფუნქციონირებს ხე-ტყის გადამამუშავებელი 14 საამქრო, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ პირველადი პროდუქციის დამზადება;

• აგროსამრეწველო და სასურსათო რესურსი (ჩაის გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიური საზეხის დანერგვა);

• ტურისტული ბიზნესის განვითარება (აგროტურიზმის, კულტურული ტურიზმის, ეკო-ტურიზმის, აქტიური ტურიზმის, სამონადირეო ტურიზმის განვითარება);

• კურორტები – რეგიონის შავიზღვისპირეთში განლაგებულია შემდეგი კურორტები: ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი, ხოლო მაღალმთიან ალპურ ზონაში – ბახმარო, გომისმთა.


• ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარება (თხილის, კივის აქტინიდიას, ფეიხოს და სტევიას კულტურების განაშენიანება).

• ბუნებრივი რესურსები – სოფ. ზოტის ოქროს საბადო, სოფ. დოდვანში ტუფისა და გრანიტის ტიფის მოსაპირკეთებელი ქვის საბადო 3 ათასი კუბ.მ. მოცულობით. ასევე, მადნეულის და აგრომადნეულის მოპოვება და გადამუშავება.

8. პრივატიზაცია

2008 წელს სამეგრელოში, გურიასა და სვანეთში ერთად პრივატიზებული იქნა 87 ობიექტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 25%-ით მეტია (2007 წელს პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა 62 ერთეულით განისაზღვრა), რაც 2007 წელს მთლიანად საქართველოში პრივატიზებული ობიექტების რაოდენობის 10%-ია.

2004 წლიდან 2007 წლის ჩათვლით სამეგრელოში, გურიასა და სვანეთში პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა 247 ერთეულს შეადგენს, რაც მთლიანად საქართველოში 2004 წლიდან პრივატიზებული ობიექტების 12%-ია.



9. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

1. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ეფექტური მართვა რეგიონში ახალი საწარმოების შექმნის, ინვესტიციების მოზიდვის, დასაქმების ხელშეწყობისა და შემოსავლების ზრდის მიზნით;

2. ინფრასტრუქტურის განვითარება ბიზნესის, სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად;

3. განათლების, მეცნიერების, სპორტის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარება;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება;

5. ტურიზმისა და საკურორტო სფეროს განვითარება შემოსავლების ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების მიზნით;

6. ფერმერული მეურნეობის განვითარება – ხელშეწყობა მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის მიზნით.

VI. ტურიზმი

1. კურორტები და კოტინციური საკურორტო აღბილები


გურიაში რეკრეაციული ტურიზმის განვითარების უდიდესი რესურსია. საკურორტო ადგილებია: ბახმარო, ნაბეღლავი, გომისმთა, ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი.

მნიშვნელოვანი კურორტებია: ბახმარო, მდებარეობს ზღვის დონიდან 2050 მ. სიმაღლეზე. მდიდარია მარადმწვანე წიწვოვანი მცენარეებით. იგი გამოირჩევა სამკურნალო პროფილაქტიკული თვისებებით, ნაბეღლავი – ბალნეოლოგიური კურორტია, გამოირჩევა მინერალური სამკურნალო წყლით, გამოიყენება შინაგანი ორგანოებისა და გარეგანი დაავადებების სამკურნალოდ, ასევე გომისმთა, ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი.

VII. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები


1. საბადასახადო, არასაბადასახადო და კაპიტალური შემოსავლები

2008 წელს რეგიონში საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 5 034,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 1,1%-ია.




2. ქონების გადასახადი

გურიის მხარეში 2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 1 963,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის მხოლოდ 1,5%-ია.




მათ შორის აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა მიერ ქონების გადასახადს უკავია, მთლიანი გადასახადის 72%.

ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი მთლიანი გადასახადის 3,9%-ია, ხოლო მიწის გადასახადი მთლიანი გადასახადის 24%-ია.




3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 323,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის მხოლოდ 0,5%-ია. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსაკრებლის 78% ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის, ხოლო – 0,7% ჩოხატაურზე.



4. ფინანსური დახმარებები

ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით 13 769,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 2,8%-ია.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

	გამოთანაბ.	მიზნობრ.	სპეციალ.	სულ:
	ათასი ლარი			
ლანჩხუთი	1 373,0	160,0	2 182,7	3 715,70
ოზურგეთი	2 364,0	220,0	5304,4	7 888,40
ჩოხატაური	701,0	175,0	1 289,7	2165,7
სულ:	4438	555	8776,8	27 539,60